

ჯონ ჯონსონი, „მოგზაურობა ინდოეთიდან ინგლისში სპარსეთის, საქართველოს, რუსეთის, პოლონეთის და პრუსიის გავლით 1817 წელს“

John Johnson, Lieutenant Colonel. A Journey from India to England, Through Persia, Georgia, Russia, Poland, and Prussia, in the Year 1817. By Lieut. Col. John Johnson, C.B. London, printed for Longman, Hurst, Rees, Orme, and Brown, 1818

Passing through the town we were met by the servant of the principal Armenian resident, who conducted us to the house of his master, at which, by invitation, we put up. He was the son of Arratoon Issaya Khaun, a man particularly well disposed toward the English, to whom we had letters, and who, we were shocked to learn, had been recently killed by lightning. The house was excellent, and was situated in the quarter inhabited by the General and the Governor, being near both their residences. As we were now in the capital of Georgia, we sent our letters to General Koutousoff, who received us most politely next morning, and gave us an invitation to dine with him, which we accepted. It is gratifying to add, that from respect to us simply as British officers, he showed us every possible attention; and began immediately by enquiring our wishes, which he promptly assisted us to realize. Indeed I have very rarely experienced -such disinterested urbanity, and so evidently proceeding from a sincere wish to be of service to us as Englishmen. Every day during our halt at Teflis, he gave us some fresh mark of his goodness of heart, and of his obliging disposition. In the evening, on this first introduction, the General, imagining that we were not sufficiently well accommodated with our Armenian host, offered us a house which was then fitting up for himself, which he very kindly took us with him to view, and walked with us through the bazars, and through the best part of the town, pointing out every thing worthy (242) of our notice. We could not, however, accept this hospitable offer of a house, from respect to our Armenian host, who had ever shown himself favourable to Englishmen, and testified a particular solicitude for our welfare.

ქალაქზე [ტფილისზე] გავლისას, ჩვენ თავალსაჩინო (principal) სომეხი მცხოვრების მსახური დაგვხვდა, რომელიც გაგვიძღვა თავისი ბატონის სახლისკენ, რომელშიც მიწვევის თანახმად, გაგვჩერდით. ეს ერთეულ ისაია ხანის (Arratoon Issaya Khan), იმ კაცის ვაჟი იყო, რომელიც განსაკუთრებით კარგად იყო განწყობილი ინგლისელების მიმართ და რომლისთვისაც წერილები გვქონდა [გადასაცემი] და რომელიც, ახლახან მოეკლა ელვას, რამაც გაგვაოგნა. სახლი შესანიშნავი იყო; ის იმ უბანში მდებარეობდა, სადაც გენერალი და გუბერნატორი ცხოვრობდნენ, არც თუ ისე შორს მათი რეზიდენციებიდან. რადგან ახლა საქართველოს დედაქალაქში ვიმყოფებოდით, ჩვენი წერილები გავუგზავნეთ გენერალ კუტუხოვს, რომელმაც მეორე დილით ძალიან თავაზიანად მიგვიღო და ვახშმად მიგვიწვია, რასაც დავთანხმდით. სასიხარულოა იმის დამატება, რომ როგორც ბრიტანელი ოფიცრების მიმართ პატივისცემის გამო, ის ჩვენს მიმართ ყოველგვარ ყურადღებას იჩენდა და მაშინვე დაიწყო ჩვენი სურვილების გარკვევა, რომელთა მოგვარებაში სწრაფად დაგვეხმარა. მართლაც, ძალიან იშვიათად შევხვედრივარ ასეთ უანგარო თავაზიანობას, რომელიც აშკარად ჩვენი, ინგლისელებისთვის სარგებლის მოტანის გულწრფელი სურვილისგან მომდინარეობდა. ტეფლისში ჩვენი გაჩერების განმავლობაში ის ყოველ დღე გვაძლევდა თავისი სიკეთისა და დაუზარელი ხასიათის ნიშანს. სადამოს, ამ პირველი გაცნობის დროს, გენერალმა, წარმოიდგინა რა, რომ ჩვენს სომეხ მასპინძელთან საკმარისად კარგად არ ვიყავით მოწყობილები, შემოგვთავაზა სახლი, რომელიც მისთვის ეწყობოდა, თავაზიანად წაგვიყვანა

მის სანახავად და ჩვენთან ერთად გაიარა ბაზრებს და ქალაქის საუკეთესო ნაწილში, მიგვითითებდა რა ყველაფერზე, რაც ჩვენი ყურადღების ღირსი იყო. მაგრამ ჩვენ ვერ მივიღეთ სახლის ეს სტუმართმოყვარე შეთავაზება ჩვენი სომეხი მასპინძლის პატივისცემის გამო, რომელიც ყოველთვის ავლენდა კეთილგანწყობას ინგლისელების მიმართ და განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენდა ჩვენი კეთილდღეობის მიმართ.

July 11th.– We were again invited to dinner by General Koutousoff, who told us he expected we should consider ourselves as his guests. In the evening we visited the Governor, who was just then returned from the country. At six we went to pass the remainder of the evening at the house of Prince Baiboodoff, a Georgian Prince, where we saw his family of ladies, and were entertained with observing a variety of dances peculiar to the different tribes inhabiting the region of the Caucasus. Some of these dances were performed by Georgian young men; and among them there were two ladies, who, to a slower measure, executed a sort of formal stately movement of no interest. These exercises were performed by the ladies and gentlemen merely at General Koutousoff's request, in order to show us the Georgian style of dancing. (243)

11 ივლისი. – გენერალმა კუტუზოვმა კვლავ დაგვპატიჟა ვახშამზე და გვითხრა, რომ ელოდა, რომ თავი მის სტუმრად მიგვეჩნია. საღამოს ქვეყნიდან ახლად დაბრუნებულ გუბერნატორს ვეწვიეთ. ექვს საათზე საღამოს გასატარებლად, ქართველი თავადის, ბებუთოვის (Baiboodoff) სახლში წავედით, სადაც მისი ოჯახის ქალბატონები ვნახეთ და კავკასიის რეგიონში მცხოვრები სხვადასხვა ტომისთვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი ცეკვების ყურებით გავერთეთ. ამ ცეკვებიდან რამდენიმე ქართველმა ახალგაზრდა ვაჟებმა შეასრულეს; და მათ შორის იყო ორი ქალბატონი, რომლებიც უფრო ნელა ასრულებდნენ ღირსებით სავსე მოძრაობებს, რომლებიც უინტერესო იყო. ამ მოქმედებებს ქალბატონები და ბატონები გენერალ კუტუზოვის თხოვნით ექსკლუზიურად ჩვენთვის ცეკვის ქართული სტილის საჩვენებლად ასრულებდნენ.

The dress of the ladies was unbecoming to a very great degree; it was much in the style of our very oldest fashions, exhibiting long waists and flat chests; and in fact displaying none of the contour of the female form, except by a kind of narrow shawl tied round the loins. Their countenances were much disfigured by the formally arched eye-brows, and their head-dresses were utterly ungraceful, being somewhat in the shape of an inverted bowl or mortar, a mere truncated cone. Their raiment was of silk, and their slippers, with high heels, were painted green and blue. In the deportment of these ladies there was altogether an extreme coldness, amounting to more than mere reserve, purposely assumed no doubt for the occasion, which they thought would not allow of any degree of ease and freedom of manner; nor was it unlikely that they would rejoice to divest themselves of so much formal restraint. This adherence to Moorish customs is to be expected among the inhabitants of a country so long under the yoke of the Mahomedans. (243)

ქალბატონების ჩაცმულობა სრულებით შეუფერებელი იყო; ის სავსებით ჩვენი ძველი მოდის სტილში იყო, რომელიც გრძელ წელსა და ბრტყელ მკერდს წარმოაჩენდა; სინამდვილეში კი არ აჩენდა ქალის ფიგურის რაიმე კონტურს, წელზე მოხვეული ერთგვარი ვიწრო შალის გარდა.

მათი სახეები საშინლად იყო დამახინჯებული მორკალული წარბებით, ხოლო თავსაბურავი სრულიად ულაზათო, უბრალო წაჭრილი კონუსის, გადაბრუნებული თასის თუ როდინის ფორმა ჰქონდა. მათი ტანსაცმელი აბრეშუმისა იყო, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი კი მწვანედ და ლურჯად იყო შეღებილი. ამ ქალბატონების ქცევაში უკიდურესი სიცივე იგრძნობოდა, რომელიც სცილდებოდა უბრალო თავშეკავებას, მიღებულს აშკარად იმ შემთხვევისთვის, რომელიც, მათი აზრით, არ დაუშვებდა რაიმე ბუნებრიობასა და მანერების თავისუფლებას; არ არის გამორიცხული, რომ ისინი სიამოვნებით მოიშორებდნენ ასეთ ფორმალურ თავშეკავებას. მავრიტანული ადათ-წესების ასეთი დაცვა სავსებით მოსალოდნელია იმ ქვეყნის მცხოვრებთაგან, რომლებიც ამდენი ხანის განმავლობაში იყო მუსლიმების უღლის ქვეშ.

Four or five men with musical instruments of a construction resembling the guitar or violin, and with a double drum, played for(243) the dancers, and sung at the intervals when the dancing was suspended. All the bystanders clapped their hands in accord with the movement, and seemed entirely to relish the music. Drams and wine were freely drunk by the whole company, and a long table loaded with fruits and sweetmeats, was brought in for the refreshment of the guests. The General and all the principal officers of Teflis, were invited to this Georgian route, which, from the display it gave of the costume and manners of the country, was to me a very novel and interesting spectacle. Respecting the beauty of the Georgian women, which oriental fabulists and poets, as well as their imitators, by common consent extol, I had been led to form a less exaggerated notion; and therefore was not much disappointed on finding that those we saw had no pretensions to it at all. (244)

ოთხი-ხუთი მამაკაცი გიტარის ან ვიოლინოს მსგავსი მუსიკალური ინსტრუმენტებითა და ორმაგი დოლით უკრავდა მოცეკვავეებისთვის, ცეკვებს შორის შუალედებში კი მღეროდნენ. ყველა დამსწრე [მოცეკვავეების] მოძრაობებს ტაქტის გამოთვლით აყოლებდა ტაშს და თითქოს სრულად ტკებოდა მუსიკით. მთელმა კომპანიამ უხვად დალია სპირტიანი სასმელები და ღვინო, ხოლო სტუმრების გასამასპინძლებლად ხილითა და ტკბილეულით სავსე გრძელი სუფრა იყო გაშლილი. ამ ქართულ დარბაზობაზე, რომელიც, ქვეყნის კოსტიუმებისა და ზნე-ჩვეულებების დემონსტრირების თვალსაზრისით, ჩემთვის ძალიან ახალი და საინტერესო სანახაობა იყო, მიწვეული იყო გენერალი და *ტეფლისის* ყველა უფროსი ოფიცერი. ქართველი ქალის სილამაზეზე, რომელსაც საერთო თანხმობით განადიდებენ აღმოსავლელი მეიგავეები და პოეტები, ასევე მათი მიმზაძველები, მე ნაკლებად გაზვიადებული წარმოდგენა შემექმნა; ამიტომ, ძალიან იმედგაცრუებელიც არ ვიყავი, როცა აღმოვაჩინე, რომ ისინი, ვინც ვნახეთ, ამაზე საერთოდ არ აცხადებდნენ პრეტენზიას.

On the opposite bank of the river are the suburbs, consisting of the houses of the poorer sort of Mahomedans or Tartars. They are connected with the town by a wooden bridge, at a very considerable height over the river.(247)

მდინარის [მტკვრის] მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს გარეუბნები, სადაც უღარიბესი მუსლიმების ანუ თათრების სახლებია. ისინი ქალაქს უკავშირდებიან ხის ხიდით, რომელიც მდინარეზე საკმაოდ მაღლა მდებარეობს.

As Georgia affords abundance of copper from the many mines now working, it is the intention of the government to encourage the manufacture of copper ware at Teflis, as an article of commerce. In fact, so large is the quantity of copper now on hand that they are casting statues with it, under the superintendence of an Italian artist, of considerable merit, who receives a salary from the government. I believe they have also begun to cast small field-pieces. (248)

რადგან საქართველოში მრავალი მოქმედი მადაროდან სპილენძს დიდი რაოდენობით მოიპოვებენ, მთავრობას განზრახული აქვს *ტეფლისში* სპილენძის ნივთების, როგორც სავაჭრო საგნების, წარმოების წახალისება. მართლაც, ხელთ არსებული სპილენძის რაოდენობა იმდენად დიდია, რომ მისგან ქანდაკებებს ასხამენ იმ დიდი დამსახურების მქონე იტალიელი ხელოვანის მეთვალყურეობით, რომელსაც სახელმწიფო უხდის ხელფასს. ვფიქრობ, რომ მათ პატარა საველე ზარბაზნების ჩამოსხმაც დაიწყეს.

(ინგლისურიდან თარგმნა ი. ნაჭყებიამ)